## ნასყიდობის ხელშეკრულება № 53

5.07.2013 წ.

### I მხარეები

1.1. ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის („მყიდველი"),მისი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით.

1.1.2. შპს „თეგეტა მოტორსი" („გამყიდველი"), მისი დირექტორის გ. მჭედლიძე სახით.

### II ხელშეკრულების საგანი

2.1. „გამყიდველი" ვალდებულია მიაწოდოს „მყიდველს" საჭირო საქონელი (ზეთები 09200000), ხოლო „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს ღირებულება და მიიღოს „გამყიდველის" მიერ მიწოდებული საქონელი.

### III საქონლის ფასი

3.1. საქონლის ფასი განისაზღვრება არსებული საბაზრო ფასებით „მყიდველსა" და „გამყიდველს" შორის შეთანხმებით ფასით 312 ლარი

### IV მხარეთა მოვალეობები

4.1. „გამყიდველი" ვალდებულია:

გადასცეს „მყიდველს" ხარისხიანი საქონელი.

4.2. „მყიდველი" ვალდებულია:

4.2.1. გადაიხადოს ნაყიდი საქონლის ღირებულება დროულად.

4.2.2. შეძენილი საქონლის გატანა სავაჭრო ობიექტებიდან უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით და ტრანსპორტით

### V ანგარიშსწორების და ანაზღაურების ფორმა

5.1. გაყიდულ საქონელზე ანგარიშსწორება უნდა მოხდეს მისი გატანის დღეს. გადახდა წარმოებს საქართველოს ეროვნული ვალუტით ნაღდი ან უნაღდო წესით.

### VI ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან მოშლა

6.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მხოლოდ წერილობითი ფორმით.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

6.2.1. მხარეთა შეთანხმებით.

### VII დავათა განხილვა

7.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადაო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

7.2. თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდა ურთიერთშეთანხმების გზით მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს.

### VIII ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი დღის ვადით.

### IX ხელშეკრულების პირობები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9.2. ისეთ შემთხვევაში რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

### X მხარეთა რეკვიზიტები

„მყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

ს/კ 436034364

ა/ა GE77LB0115187061709000

ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი

ბ/კ 220101415

ნ. [signature]

„გამყიდველი"

შპს „თეგეტა მოტორსი"

ს/კ 202177205

ა/ა GE80TB0600000002446785

თბილისი